

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N181 საცხოვრებელი სახლის N21 ბინაზე,
მოქალაქე დარეჯანი ახვლედიანისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა
და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამში განხილული იქნა მოქალაქე დარეჯანი ახვლედიანის განცხადება /2012 წ. 22.02 №–1543/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N181 საცხოვრებელი სახლის N21 ბინა/ საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის I პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N181 საცხოვრებელი სახლის N21 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე დარეჯანი ახვლედიანს /პირადი N 60001036179/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/ ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N181 საცხოვრებელი სახლის N21 ბინაზე /საერთო ფართობი 47.11 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 18.28 კვ.მ. დამხმარე ფართობი 28.83 კვ.მ./ მოქალაქე დარეჯანი ახვლედიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვალაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე